სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №490/2018

ქ. თბილისი „ 21 “ ნოემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. "დიჯიტალტექ"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჯინჯოლავა სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "საქონელი"– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის ფოტოაპარატისა (CPV38651000) და შესაბამისი აქსესუარები მიწოდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. მოსაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი, ერთეულის ფასი და მახასიათებლები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **3527 (სამიათას ხუთას ოცდაშვიდი) ლარსა და 10 თეთრს**.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა საქართველოს მთავრობასა და ევროპის გაერთიანებათა კომისიას შორის, 2007 წლის 18 ივნისს ხელმოწერილი ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში, ევროკავშირსა და სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს შორის, ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერასთან დაკავშირებით გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახსრები (CIB).

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის მიწოდების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების გათვალისწინებით;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული საქონელი ხელშეკრულების **გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.**

4.4.2. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად სრული, დადგენილი ხარისხისა და სტანდარტის საქონელი;

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე, მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **თეა შველიძე** და ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტი **ნინო ჩაჩანიძე;**

6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

6.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. გარანტია

7.1. მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება 12 თვიანი სრული გარანტია;

7.2. საგარანტიო ვადის ათვლა იწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმები თარიღიდან;

7.3. იმ შემთხვევასში თუ მოწოდებული საქონელი, საგარანტიო ვადის მოქმდებეის მანძილზე გამოავლენს დეფექტს, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით, თავად უზრუნველყოს ყველა გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და/ან სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

9. ფასები

9.1. მოსაწოდებელი საქონელის ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. ხელშეკრულების 4.4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო დაგვიანებით მოწოდებული საქონლის ღირებულების **0,02%**-ის ოდენობის შესაბამისი თანხით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების **0,02%**-ის ოდენობით ყოველ ასეთ შემთხვევაზე;

11.3. იმ შემთხვევაში, ხელშეკრულების 11.1. და 11.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **1%-ს,** შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

11.5. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

11.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	**შ.პ.ს. "დიჯიტალტექ"**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.№ 200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 402088897 თბილისი, წერეთლის №116 მომსახურე ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" ბ.კ. – TBCBGE22 **GE16TB7384036080100006**
სააგენტოს უფროსის **ზურაბ ჩეკურაშვილი**	**დირექტორი** **გიორგი ჯინჯოლავა**

№	დასახელება	განზომილება	ერთეულის ფასი	რაოდენობა	ღირებულება სულ
1	ელემენტი KODAK RECHARGEABLE Ni-MH AA BATTERY 1700mAh (30955066)	ცალი	20.33	1	20.33
2	ფოტოაპარატი CANON EOS 80D EF-S 18-55 IS STM KIT	ცალი	2708.47	1	2708.47
3	გამანათებელი CANON SPEEDLITE 430EX III-RT BLACK	ცალი	798.30	1	798.30
	სულ				**3527.10**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	**შ.პ.ს. "დიჯიტალტექ"**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.№ 200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 402088897 თბილისი, წერეთლის №116 მომსახურე ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" ბ.კ. – TBCBGE22 **GE16TB7384036080100006**
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი**	**დირექტორი** **გიორგი ჯინჯოლავა**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ **შპს „დიჯიტალტექ“-ს** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს უფროსი ----------

იურიდიული დეპარტამენტი ----------

საფინანსო ეკონომიკური დეპარტამენტი ----------

ადმინისტრაციული დეპარტამენტი ----------

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო ----------

ხელშეკრულების პირობების შესრულებზე კონტროლის განმახორციელებელი პირები:

1. შველიძე თეა ----------
2. ჩაჩანიძე ნინო ----------